



**ჭავჭავაძის
ცენტრი**

ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული
კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

ილია ჭავჭავაძის ევროპული კვლევებისა
და სამოქალაქო განათლების ცენტრის
ანბარიში



2021



**ჭავჭავაძის
ცენტრი**

ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული
კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

www.chavchavadzecenter.ge

შესავალი

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ამკარაზე საუბარი ყოველთვის ცუდ ტონად ითვლებოდა. მოდი, დავარღვიოთ ეს ტრადიცია და ვთქვათ - 2021 ცუდი წელი იყო. უბრალოდ რთულზე ბევრად უარესი.

საუკუნის პანდემიამ მსოფლიოს დღის წესრიგი შეცვალა. კოვიდ-19-ის კატასტროფულმა მართვამ და ხელისუფლების მიერ საკუთარი პოლიტიკური ინტერესების ადამიანების სიცოცხლეზე წინ დაყენებამ საქართველოში 15 ათასამდე მოქალაქის სიკვდილი გამოიწვია.

გლობალური და რეგიონული პოლიტიკა საკვს იყო მოულოდნელი თუ მოსალოდნელი გამოწვევებით, რომლებსაც, ტრადიციულად, მოუმზადებელი შევხვდით.



პოლიტიკური დევნა საბოლოოდ იქცა რუტინულ მოცემულობად, რომელიც აღარავის აკვირვებს. დასავლური კონიუნქტურა თანახმაა, პოლიტიკურ ოპონენტებს ოლიგარქის ტროიკები ასამართლებდნენ, ოღონდ ამას ფორმალურად მაინც ერქვას „სასამართლო“.

ამასობაში ინფლაცია ისტორიულ მაქსიმუმზეა, ლარის კურსი - ისტორიულ მინიმუმზე. გაჭირვებული და სასოწარკვეთილი ადამიანები გამოსავალს ეძებენ, მედია კი მათ არარსებულ ან კომპრომეტირებულ პოლიტმუშაკებსა და ხელოვნურად გაგმირებულ ანტიგმირებს სთავაზობს სანახაობად. ეთერები უპყრიათ მოლაპარაკე თავებს, რომლებიც არავის წარმოადგენენ და საუბრობენ იმაზე, რისი მთელი არსიც - გაგიკვირდებათ და - ნებისმიერ ფასად ამკარას არდანახვას.

ასე და ამგვარად, საშინაო ფრონტებზე პროცესებმა ტრაგიკულიდან ტრაგიკომიკური სახე მიიღო. ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ და როდის იქცა პოლიტიკური ტრაგიკომედია ფარსად, ხოლო ფარსი - კიჩად. მთავარი როლების შემსრულებელთა ტექსტების ნასაკითხად სცენაზე მესამეხარისხოვანი მსახიობებილა დარჩნენ. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე, პოლიტიკური ცხოვრება არასდროს ყოფილა ისეთი თვითმიზნური, რეალური შინაარსისგან დაცლილი და ხალხის მაჯისცემას დაშორებული, როგორც ახლა.

რა გასაკვირია, რომ გარშემო ნიჰილიზმი და აპათია სუფევს. შეგუება, კონფორმიზმი, სიცრუისა და აბსურდისგან ემოციური გაქცევა, შინაგანი თუ რეალური ემიგრაცია ყოველდღიურობის ნაწილად ქცეულა და თანდათან უფრო და უფრო მეტ ადამიანს ითრევს.

რა შეუძლია ამ ვითარებაში რამდენიმე იდეალისტით დაკომპლექტებულ და რამდენიმე ათეული ერთგული მეგობრით გარშემორტყმულ ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას? მით უფრო, რომ ჭავჭავაძის ცენტრის ფილოსოფია ადამიანებთან უშუალო კონტაქტზეა დამყარებული, რაც პანდემიამ ერთიანად გაართულა.

სინამდვილეში, ბევრი შესძლება. შევაჯამეთ რა 2021 წელი, აღმოჩნდა, რომ მიუხედავად ყველა სირთულისა, უამრავი რამ მოვასწარი. რაც მთავარია, ისეთ თემებს ვეჭიდებით, რომლებიც იმ ხესავითაა, თუ გაახარე, მრავალი წელი რომ მოგცემს სასარგებლო ნაყოფს.

სამოქალაქო მეხსიერება, შიდაპარტიული დემოკრატია (რათა ქვეყანაში ამინდი ოდენ კაბინეტურად მართულმა პოლიტიკურმა კლანებმა არ განსაზღვრონ), დებატების კლუბი „აგორა“, პროექტი „სალი აზრი - სამოქალაქო საზოგადოება პოლიტიკის პირისპირ“, კინოჩვენებებისა და დისკუსიების ციკლი „ახალგაზრდები მართლმსაჯულებისთვის“ - ეს ჩვენი საქმიანობის ამსახველი მიმართულებებია, რომლებზე მუშაობას მომდევნო წლებშიც გავაგრძელებთ, მთელი საქართველოს მასშტაბით.

ხშირად გვითქვამს - თუ ჩვენი ყოველი შეხვედრიდან ერთი ადამიანი მაინც წავა ისეთი კითხვით, რომელიც მანამდე არ ანუხებდა ან რომელსაც მანამდე ვერ სვამდა, ეს ნიშნავს, რომ იმ დღეს ფუჭად არ ჩაუვლია.

ასეთი დღე ბევრი გვქონდა 2021 წლის მანძილზე.

ჯერ არ ვიცით, 2022 რას გვიმზადებს, მაგრამ არ არსებობს გამონკვევა, რომელსაც შრომით, აზროვნებით, თანმიმდევრულობითა და გრძელვადიანი მიზნების ერთგულებით ვერ გავუმკლავდებით, როგორც საზოგადოება. ამ მყარი შინაგანი რწმენით წარმოგიდგინთ ჭავჭავაძის ცენტრის 2021 წლის საქმიანობის ამსახველ ანგარიშს. ჯანმრთელობას, გამარჯვებას და მშვიდობას გისურვებთ. ამ თანმიმდევრობით.

*ზაზა ბიბილაშვილი
ილია ჭავჭავაძის ცენტრის დამფუძნებელი*

ღონისძიებები

მრგვალი მაგიდა და დისკუსია. 1 აპრილი - დამოუკიდებლობის და რეფერენდუმის 30 წლისთავი

1991 წლის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა და დისკუსია ჩატარდა 1 აპრილს, ილია ჭავჭავაძის ცენტრში. მონაწილე სტუმრები იყვნენ ამ ისტორიული მოვლენის უშუალო მონაწილეები: თენგიზ ჩაჩავა, ბეჟან ჯავახია და ბიმურზა დადეშქელიანი. შეხვედრას უძღვებოდა ჭავჭავაძის ცენტრის დამფუძნებელი ზაზა ბიბილაშვილი. დისკუსიაში მონაწილეობდნენ სტუდენტები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.



მრგვალი მაგიდა. 17 მარტი ოკუპაციის 100 წლისთავი

„საქართველო და რუსეთი: რა შეიცვალა?“ - ამ სახელწოდებით, ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრმა 17 მარტს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში რუსეთ-საქართველოს 5-კვირიანი ომის დასასრულისა და ოკუპაციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა გამართა.

ღონისძიება გახსნა ჭავჭავაძის ცენტრის დამფუძნებელმა ზაზა ბიბილაშვილმა თემით „პოლიტიკა და მეხსიერება“. დამსწრეებს ასევე მიმართეს ცენტრის დირექტორმა ნინო კალანდაძემ და კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელმა, დოქტორმა ტომას შრაპელმა. მოხსენებებით წარდგინეს ისტორიკოსები ბუბა კუდავა და ბექა კობახიძე, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევარები რუსიკო კობახიძე და დავით ხვადაგიანი, საქართველოს ყოფილი ელჩი პორტუგალიასა და კვიპროსში გია ჯაფარიძე, მხატვარი ნიკო ცეცხლაძე, კონსტიტუციონალისტი გიორგი მშვენიერაძე, სამოქალაქო აქტივისტი და საბაუნის პროფესორი არინა თავაქარაშვილი, ჟურნალისტები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები.

გამომსვლელებმა ისაუბრეს შემდეგ თემებზე: სამოქალაქო მეხსიერება და პოლიტიკა, პირველი ქართული კონსტიტუცია, ქართული მედასავლეთეობის დროებითი დასასრული ოკუპაციის შედეგად, შემოქმედებითი ელიტის მოლოდინები და რეალობა ოკუპაციის შემდგომ პერიოდში, ცხოვრება საბჭოთა კავშირში, ორი რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური გამოწვევები, მიმდინარე ოკუპაცია და სხვ. მოხსენებების შემდგომ გაიმართა დისკუსია და კითხვა-პასუხი დამსწრე საზოგადოებასთან ერთად.



კონფერენცია. 12-13 აგვისტო - 2008 წლის ომის ცეცხლის შეწყვეტიდან მე-13 წლისთავი



ჭავჭავაძის ცენტრისა და საქართველოს უნივერსიტეტის ერთობლივი ორგანიზებით, 12-13 აგვისტოს თბილისში ჩატარდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის ცეცხლის შეწყვეტიდან მე-13 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საგანგებოდ ამ ღონისძიებისთვის ჩამოსულმა, ცხინვალის რეგიონიდან დევნილმა და საოკუპაციო ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა.

12 აგვისტოს ღონისძიება გახსნეს ჭავჭავაძის ცენტრის დამფუძნებელმა, ზაზა ბიბილაშვილმა და საქართველოს უნივერსიტეტის რექტორმა, კონსტანტინე თოფურიაშვილმა. მონაწილეებს მიმართა საბაუნის პროფესორმა, არინა თავაქარაშვილმა. ნაშუადღევს გაიმართა დოკუმენტური ფილმის, „ცხინვალი 1920“-ის ჩვენება, რომელსაც მოჰყვა დისკუსია ზაზა ბიბილაშვილისა და ცენტრის უფროსი მკვლევარის გია ჯაფარიძის მოდერირებით.

დღის ბოლოს მონაწილეებისთვის მოეწყო სოლოლაკის ტური.

13 აგვისტოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გიორგი მუმლაძემ ჩაატარა ლექცია თემაზე „მოქალაქის როლი თავისუფლების და დემოკრატიის დაცვაში“. ლექციის შემდგომ, გაიმართა დისკუსია ზაზა ბიბილაშვილისა და ცენტრის დირექტორის, ნინო კალანდაძის მოდერირებით.

ღონისძიების დასასრულს, კონფერენციის მონაწილეებმა მონაახულეს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი და ისტორიის მუზეუმის „ოქროს ფონდი“.



კონფერენცია. 1 დეკემბერი - „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - მოლოდინები, შედეგები, რეალობა.“



ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრმა თბილისი მარიოტში გამართა კონფერენცია თემაზე „2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - მოლოდინები, შედეგები, რეალობა.“

ღონისძიება გახსნა ჭავჭავაძის ცენტრის დამფუძნებელმა ზაზა ბიბილაშვილმა. დამსწრეებს ასევე მიმართეს ცენტრის დირექტორმა ნინო კალანდაძემ და ცენტრის უფროსმა მკვლევარმა გია ჯაფარიძემ. მოხსენებით წარდგინეს ცენტრის მკვლევარები გიგა ჯოხაძე და გიორგი ხარებავა, ასევე გიორგი ონიანი (საერთაშორისო გამჭვირვალობა), ჯონ დიპირო (IRI), კორნელი კაკაჩია (GIP) და შამილ შუგაევი (FNF).

ღონისძიების ფარგლებში საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის, მედიისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა შეაფასეს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და სამომავლო პერსპექტივა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით.



პრეზენტაცია კავკასიის უნივერსიტეტში. 8 ივნისი „ლიბერალიზმი და საქართველო“



„ლიბერალიზმი და საქართველო“ – ასე ჰქვია ილია ჭავჭავაძის ცენტრის მიერ მომზადებულ ნაშრომს, რომლის პრეზენტაცია კავკასიის უნივერსიტეტში 8 ივნისს გაიმართა. პუბლიკაცია მომზადდა ილია ჭავჭავაძის ცენტრისა და აკადემიური წრეების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად. მისი ავტორები არიან თეიმურაზ ხუციშვილი, ნინო კალანდაძე, გია ჯაფარიძე, გიორგი ჯოხაძე და გიორგი ხარებავა.

ნაშრომი მიმოიხილავს ლიბერალური იდეოლოგიის შემოსვლა-დამკვიდრების ისტორიას საქართველოში, ლიბერალიზმის წარმოშობის ისტორიას და ილიასეულ ლიბერალიზმს, როგორც ლიბერალური დემოკრატიის საფუძველს. ასევე, თანამედროვე საქართველოში ლიბერალიზმის ილიასეული გაგებით დამკვიდრების გამოწვევებს, მისი არასწორი გაგების წინაპირობებს და მიზეზებს.

„ნაშრომით „ლიბერალიზმი და საქართველო“ ვეცადეთ, შეგვევსო საზოგადოებაში ლიბერალიზმთან მიმართებით არსებული ინფორმაციული დეფიციტი. ჩვენი მოკრძალებული სურვილი ასევე იყო გვეჩვენებინა, რომ კლასიკური, ილიასეული ლიბერალიზმი არა უკიდურესობების, ნაძალადევი პოლიტიკორექტულობისა და კლიშეების მანქანა, არამედ იმ ფასეულობათა ერთობლიობაა, რომლებიც საფუძვლად დაედო დასავლურ ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნასა და კონსოლიდაციას, ასევე, თავისუფალი, ეკონომიკურად მდიდარი საზოგადოებებისა და სუვერენული სახელმწიფოების განვითარებას, როგორც მათი წარმატების განმსაზღვრელი ინდივიდუალური რწმენა“ – აღნიშნავს ჭავჭავაძის ცენტრის დირექტორი ნინო კალანდაძე ნაშრომის წინასიტყვაობაში.

ლონისძიება გახსნა კავკასიის უნივერსიტეტის რექტორმა კახა შენგელიამ. სტუმრებს მიესალმა ილია ჭავჭავაძის ცენტრის დამფუძნებელი და ნაშრომის მთავარი რედაქტორი ზაზა ბიბილაშვილი. სიტყვით გამოვიდნენ პუბლიკაციის ავტორები თეიმურაზ ხუციშვილი და გია ჯაფარიძე. პრეზენტაციას ესწრებოდნენ სტუდენტები, აკადემიური და სამოქალაქო წრეების წარმომადგენლები.

ნაშრომი მომზადდა და გამოიცა კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიუროს მხარდაჭერით. ნაშრომი ითარგმნა ინგლისურ ენაზე და ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე.

კვლევის პრეზენტაცია. 17 დეკემბერი - „შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის მიზეზები საქართველოში“



აღნიშნული პუბლიკაცია წარმოადგენს სამეტაპიანი კვლევის მეორე ნაწილს. პირველ ეტაპზე შესწავლილ იქნა ქართულ პოლიტიკურ პარტიებში შიდა დემოკრატიის ხარისხი და დადგინდა შიდაპარტიული დემოკრატიის მწვავე დეფიციტი. კვლევის მეორე ეტაპი შეეხო შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის გამომწვევი მიზეზების სიღრმისეულ ანალიზს. მესამე ეტაპი, რომელსაც საზოგადოება ასევე მალე გაეცნობა, არის კვლევა შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ შედეგებზე. პრეზენტაციის თემატიკა და კვლევის შედეგები აქტუალურია როგორც სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის, ისე პოლიტიკით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის და აქტიური მოქალაქეებისთვის.

ნაშრომი წარადგინეს ჭავჭავაძის ცენტრის წარმომადგენლებმა და კვლევის ავტორებმა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ და დისკუსიაში მონაწილეობდნენ პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების, პოლიტიკური ფონდებისა და აკადემიის წარმომადგენლები, ასევე დაინტერესებული მკვლევარები და სტუდენტები.


კვლევა განხორციელდა ჭავჭავაძის ცენტრის მიერ პროექტის ფარგლებში „შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში“. პროექტის მხარდამჭერია კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიურო და საქართველოს უნივერსიტეტი.



კუბლიკაციები

კუბლიკაციები:

- შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში (კვლევა)
- ლიბერალიზმი და საქართველო
- კინოჩვენების დღიურები
- შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის მიზეზები საქართველოში (კვლევა)



პინორჰენები



1. ნაღვერი, 12 თებერვალი
„12 განრისხებული მამაკაცი“
სტუმარი: გიორგი ანთაძე
17 მონაწილე



2. დუშეთი, 19 მარტი
„12 განრისხებული მამაკაცი“
სტუმარი: რუსიკო კობახიძე
24 მონაწილე



3. ცენტრის ოფისი, 25 მარტი
„თავისუფლების მწერლები“
19 მონაწილე



4. საგარეჯო - 26 მარტი
“ფარენჯაიტი 451”
სტუმარი: ნიკა შაყულაშვილი
28 მონაწილე



5. თელავი, 28 მარტი
„კატინი“
სტუმარი: ანი ხურციძე
32 მონაწილე



6. დმანისი, 10 აპრილი
„12 განრისხებული მამაკაცი“
სტუმარი: დავით ბუხრიკიძე
12 მონაწილე



7. ცხისძირი, 27 მაისი,
„ცხინვალი 1920“
სტუმარი: იულონ გაგოშიძე
30 მონაწილე



8. ატენი, 21 ივნისი
ფილმები სამოქალაქო მეხსიერებაზე
12 მონაწილე



9. ფაბრიკა, 24 ივლისი
„12 განრისხებული მამაკაცი“
ზაზა ბიბილაშვილი, გია ჯაფარიძე
20 მონაწილე



10. ფაბრიკა, 12 აგვისტო,
„ცხინვალი 1920“
სტუმარი: გიორგი მუმლაძე
21 მონაწილე



11. ცენტრის ოფისი, 5 ნოემბერი
„მგზავრი“
სტუმარი: ნოდარ ლადარია
20 მონაწილე



12. ცენტრის ოფისი, 8 ნოემბერი
„კაცი, რომელიც შეეშალათ“
სტუმარი: მერაბ ღაღანიძე
10 მონაწილე



13. ქუთაისის მე-40 საჯარო
სკოლა. 11 ნოემბერი
„ნახვამდის, ბავშვებო!“
სტუმარი: დავით ნატროშვილი
28 მონაწილე



14. გარდაბნის ახალგაზრდულ
ცენტრი, 19 ნოემბერი
ფილმები სამოქალაქო მეხსიერებაზე
სტუმრები: ზურაბ ერისთავი
და ნინო ერემაშვილი
15 მონაწილე



15. კავკასიის უნივერსიტეტი,
24 ნოემბერი
ფილმები სამოქალაქო მეხსიერებაზე,
სტუმარი: ბეჟან ჯავახია
11 მონაწილე



16. საქართველოს უნივერსიტეტი,
22 დეკემბერი
ფილმები სამოქალაქო მეხსიერებაზე
სტუმარი: ბექა კობახიძე
22 მონაწილე



17. თბილისის 31-ე საჯარო სკოლა,
23 დეკემბერი
ფილმი: „ტრუმენის შოუ“
სტუმარი: ანა კორძაია-სამადაშვილი
19 მონაწილე

18. თბილისის 36-ე საჯარო სკოლა,
23 დეკემბერი
„ტრუმენის შოუ“
სტუმარი: ანა კორძაია-სამადაშვილი
20 მონაწილე




19. ბორჯომი, 26 დეკემბერი
„კუდის ქიციანი“
სტუმარი: ლევან ფესვიანიძე
12 მონაწილე

ჩატარდა 19 კინოჩვენება.
აქედან 10 რეგიონში,
9-თბილისში.
სულ 372 მონაწილე.

პოდკასტი

პოდკასტების სერია „ახლა ამის დროა! - შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში“, რადიო თავისუფლებასთან და EECMD-სთან თანამშრომლობით




8 პოდკასტი და 8 სტატია

- რა არის შიდაპარტიული დემოკრატია?
- რა კავშირშია პოლიტიკური კრიზისები შიდაპარტიულ დემოკრატიასთან
- პოლიტიკური ლიდერების გავლენა შიდაპარტიულ დემოკრატიაზე
- რა კავშირშია ფინანსები შიდაპარტიულ დემოკრატიასთან
- რატომ გვჭირდება დემოკრატიული პარტიები
- როგორ მუშაობს შიდაპარტიული დემოკრატია გერმანიაში
- ქართული პოლიტიკური პარტიები დემოკრატიზაციის პროცესში
- შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში - მთავარი გამოწვევები

„სამოქალაქო მესხიერება“

პროექტ „სამოქალაქო მესხიერების“ ფილმები:





პროექტი მიზნად ისახავს უახლესი წარსულის ისტორიების დოკუმენტალურად გაცოცხლებას. პროექტის მიზანია ახალ თაობას, რომელსაც საკუთარი თვალთა არ უნახავს საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი ათწლეული ან ბუნდოვნად ახსოვს ის დრო, ცოცხალი ადამიანებისა და ისტორიების მაგალითზე დავანახოთ გზა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა, რომ დღევანდელ დღემდე მოსულიყო. პროექტის ფარგლებში გადაღებულია 20 დოკუმენტური ფილმი, იმართება საინფორმაციო შეხვედრები და დისკუსიები სამოქალაქო წრეების წარმომადგენლებთან და ახალგაზრდებთან.

დასრულებულია 14 ეპიზოდი:

- „დარჩევი“
- „სასჯელის უმაღლესი ზომა კანონის გარეშე“
- „გოჩა ესებუა“
- „კაკო ელიავა“
- „ორი ედუარდის ომი“
- „წინააღმდეგობის მოძრაობა“ - ეპიზოდი 1
- „წინააღმდეგობის მოძრაობა“ - ეპიზოდი 2
- „წინააღმდეგობის მოძრაობა“ - ეპიზოდი 3
- „ჯავახეთი“ - ეპიზოდი 1
- „ჯავახეთი“ - ეპიზოდი 2
- „პანკისის ფრონტი“ - ეპიზოდი 1
- „პანკისის ფრონტი“ - ეპიზოდი 2
- „გაპანკისება“
- „რუსლან გილაევი“

ონლაინ აქტივობები

- ონლაინ შეხვედრა თემით „ახალგაზრდული სამოქალაქო აქტივიზმი 1978 წლის 14 აპრილიდან დღემდე.“ 14 აპრილი. სტუმარი - გიორგი მელაშვილი, EGI-ს პრეზიდენტი.
- ონლაინ შეხვედრა თემით „საქართველო-აზერბაიჯანს შორის სახელმწიფო საზღვრის დადგენის საკითხი - პროპაგანდა, მითები და რეალობა.“ 28 მაისი. სტუმარი - ბეჟა კობახიძე, ისტორიკოსი.
- ვებინარი: „ქალი ჟურნალისტების გაძლიერება და მედია მრავალფეროვნება.“ 9 ივლისი. სტუმრები - მედიის მკვლევარი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე და გენდერის მკვლევარი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი მედეა ბადაშვილი.
- ზაზა ბიბილაშვილს საჯარო ლექცია “თავისუფლება და მეხსიერება“ 28 ივლისი.



მონობისა და თავისუფლების შესახებ



ზაზა ბიბილაშვილი
 იურისტი, მწერალი, ილია ჭავჭავაძის ცენტრის დამფუძნებელი

28 ივლისი 19:00 საათი



სემინარები, ტრენინგები, ფოკუსჯგუფები

- დისკუსია ჟურნალისტებთან და მედიამენეჯერებთან. 18 მაისი.
- ტრენინგი მომავალი ჟურნალისტებისთვის (პირველი ნაკადი), 22-23 მაისი.
- ტრენინგი მომავალი ჟურნალისტებისთვის (მეორე ნაკადი), 5-6 ივნისი.
- სემინარი ატენის ხეობაში - პროექტის „სამოქალაქო მეხსიერება“ წარდგენა და ამავე პროექტის ფარგლებში გადაღებული ფილმების ჩვენება. 19 ივნისი.
- სემინარი და კონფერენცია ჟურნალისტებისთვის ატენის ხეობაში - შიდაპარტიული დემოკრატიის თემაზე. 20 ივნისი.
- ორი ლექცია ფაბრიკაში - თავისუფლებასა და მეხსიერებაზე, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდთან თანამშრომლობით. 25 ივლისი.
- „შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში“ - ფოკუსჯგუფი კავკასიის უნივერსიტეტში. 6 ნოემბერი.
- ზაზა ბიბილაშვილი და ნინო კალანდაძე კონფერენციაზე „ისტორია, ღირებულებები და მათი მნიშვნელობა წარმატებული სახელმწიფოსთვის“. 25-28 ოქტომბერი.
- საჯარო ლექცია საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე - „სტრატეგიული დიალოგის ცენტრის“ და „ევროპულ-ქართული ინსტიტუტის“ ახალგაზრდა ლიდერების პროგრამა. გია ჯაფარიძე.
- ორი ლექცია “Students for Liberty-ში”, გია ჯაფარიძე.
- ლექცია საქართველოს ახალგაზრდულ პარლამენტში, გია ჯაფარიძე.

წლის მთავარი თემები ცენტრისთვის:

- სამოქალაქო მეხსიერება
- პოლიტიკა და შიდაპარტიული დემოკრატია
- სამოქალაქო განათლება ახალგაზრდებისთვის
- კინოჩვენებები და დისკუსიები
- მედია და გენდერი

შეჯამება

- გამოიცა 4 პუბლიკაცია
- ჩატარდა 19 კინოჩვენება, 2 მრგვალი მაგიდა, 2 პრეზენტაცია, 2 კონფერენცია, 1 ვებინარი
- 3 ონლაინ ლექცია, 14 საჯარო ლექცია, 1 ფოკუსგუფი
- მოვიცავით 10 რეგიონი, 19 ლოკაცია
- ჩაიწერა 8 პოდკასტი
- დაიწერა 8 სტატია შიდაპარტიულ დემოკრატიაზე
- მომზადდა 4 კლიპი შიდაპარტიულ დემოკრატიაზე
- გადაღებულ იქნა 20 დოკუმენტური ფილმი სამოქალაქო მესიერებაზე
- სულ 1000-ზე მეტი მონაწილე

სარჩევი

შესავალი	1
ღონისძიებები	3
პუბლიკაციები	9
კინოჩვენებები.....	10
პოდკასტი	15
“სამოქალაქო მესიერება”	16
ონლაინ აქტივობები	17
სემინარები, ტრენინგები, ფოკუსგუფები	18
შეჯამება	19





**ჭავჭავაძის
ცენტრი**

ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული
კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

www.chavchavadzecenter.ge





**ჭავჭავაძის
ცენტრი**

ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული
კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

www.chavchavadzecenter.ge